

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ბესიკ გვაზავა

ბიზნესის ჰუმანიზაციის მმართველობითი და
მეტაეკონომიკური ასპექტები

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ანზორ აბრალავა

რეცენზენტები: _____

დაცვა შედგება 2020 წლის " _____ " მარტი ____ საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,

საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო საბჭოს

სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია -----,

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა ფაკულტეტის ვებგვერდზე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ასოცირებული პროფესორი

/ლ. კოჭლამაზაშვილი/

Abstract

The dissertation "Peculiarities of the innovation factor in human resources management" consists of an introduction and three chapters.

Relevance of the topic: The results of practical application of innovative technologies for human resource management in Western developed countries, the micro-revolution in almost every country in personnel management has been developing rapidly in recent years and this Micro revolution puts new demands on innovative renewal of human resources management systems Entrepreneurial structures operating in the sector play a special role. In order to stay competitive, modern investments often require capital investment in intangible assets, such as enhancing employees' knowledge and skills, promoting their health, developing the corporate culture and motivational environment of the organization. If entrepreneurs do not take into account or insufficiently consider human factors in their competitive strategies, they incur significant economic losses due to the dishonest behavior of the workers. In order to succeed in economic activity, it is necessary to increase the human capital of both organizations and society at large. It should be noted that the development of the macroeconomic system is strongly influenced by the norms and values shared by society.

In modern science and practice management, the process of improving the approaches, concepts and ideas of the staff is continuously under way. The peculiarity of the innovation factor in human resource management requires complex consideration, and its individual aspects are still underdeveloped which emphasizes the importance of the research topic.

The reorientation of development directly from the rise of macroeconomic indicators to human development reflects a concept that encompasses innovation, investment, institutions and infrastructure. At the center of each of these elements is a person without whom any creator makes sense. Each of them involves an active entrepreneurial entity that is or should be focused on the development and utilization of the country's human capital in its activities. There are two types of impacts of the human factor on the macroeconomic dynamics: on the one hand, human capital is a factor in the development of an entrepreneurial type of economy, and on the other, it is a primary and strategic objective of economic and, therefore, entrepreneurial activity.

In our view, the qualitative modernization of the country's socio-economic system should address technological and organizational aspects, social and humanistic aspects of public relations. It is impossible to create a socially oriented state unless humanization is chosen as one of the main areas of economic relations.

Although the topic in both foreign and Georgian scientific literature is quite voluminous and popular, and many articles have been written about it, the issue does not lose its relevance and, on the contrary, the interest is more intensely associated with it.

In the first chapter of the work "Theoretical and methodological aspects of innovative peculiarity of human resources management" the author discusses innovative factors of human resources management; Innovative process management and methodology for innovative human resource

The second chapter of the work "The main directions of improving innovative human resources development in modern business" discusses a system analysis of the innovative development of entropic development of human resources; Analysis of the impact of innovative factors on the environment; Determination of theoretical approaches to the formation of management decisions in the structure of human resources management.

In the third chapter of the work "Management of Personnel Reservation as an Innovative Approach in Human Resources Management" is discussed the role and characteristics of managing reserve management as an innovative factor; Use of the HR

Resource Management as an innovative factor in human resource management, on the example of a foreign company; Analysis of research of management of personnel reserve as an innovative factor by Georgian companies; The mechanism for improvement of personnel reserve management process.

Since the process of management of reserve management is universally recognized in the world, the author notes that its use in Georgian companies is important for management and, ultimately, for improving production results. The author notes that, according to the results of the research, the management of stocks of Georgian companies is very important; But at the same time, this is possible only if the importance of this innovation is shared by the employees and managers of the company.

In the final part of the work is summarized and concludes the results of the survey.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სამეურნეო საქმიანობის ჰუმანიზაციაზე ზემოქმედების მექანიზმების სრულყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს მეთოდური და პრაქტიკული ინსტრუმენტების კომპლექსის თეორიულ გააზრებასა და შემუშავებას, რაც არჩეული თემის აქტუალობას განსაზღვრავს.

ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სოციალური სფერო, საზოგადოების განვითარებას თან ახლავს ეკონომიკური და სოციალური მდგენელების ურთიერთკავშირი მეწარმეობისა და საზოგადოების განვითარებაში. თანამედროვე სახელმწიფოში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების ურთიერთგავლენა და ურთიერთგანპირობებულობა იმდენად არსებითია, რომ შეუძლებელია აღნიშნული ფაქტის შეუმჩნეველობა და გაუთვალისწინებლობა. ეკონომიკური ქვესისტემის განვითარების ანალიზი და შემდგომი დაგეგმვა, ალბათ, შეუძლებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სოციალური ქვესისტემის მდგომარეობის შესწავლის გარეშე, რადგან სწორედ მასში ყალიბდება და ვითარდება ადამიანური მოთხოვნილებები, რომელიც შემდგომ რეალიზდება წარმოების პროცესში. გარდა ამისა, თავად სოციალური ქვესისტემის განვითარება ძნელად წარმოსადგენია ეკონომიკური საქმიანობის, საქონლისა და მომსახურებების წარმოების ზრდის გარეშე, რაც უზრუნველყოფს ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სოციალურ სახელმწიფოს მთავარი მიზანი და ფასეულობა არის ადამიანი. აქედან გამომდინარე, განვითარების მიმართულება უნდა განვიხილოთ ადამიანის, ოჯახის, საზოგადოების ინტერესების თვალსაზრისით, - ანუ მოხდეს საყოველთაოდ აღიარებული ჰუმანისტური პრინციპების რეალიზება. საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური სფეროების ურთიერთკავშირის ერთ-ერთი ფაქტორია სამეწარმეო საქმიანობა. სწორედ კერძო და სახელმწიფო სექტორების სტრუქტურები ასახავენ თავიანთ მუშაობაში სოციალური და ეკონომიკური ინტერესების ყველა განსხვავებასა და ერთიანობას, მათ ორიენტაციას არა მხოლოდ ეკონომიკური მიზნების მიღწევაზე, არამედ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

ბიზნესის ინტერესები და ბიზნესის მეტაეკონომიკური გააზრების განმსაზღვრელი საზოგადოებრივი გარემოს სრულყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს მეთოდური და პრაქტიკული ინსტრუმენტების კომპლექსის თეორიულ გააზრებასა და შემუშავებას, რაც არჩეული თემის აქტუალობას განსაზღვრავს.

მდგრადი განვითარების მხარდამჭერი მკაფიო და ეფექტური კანონების მიღებისა და დაცვის გზით მდგრადი განვითარების მიღწევის ხელშესაწყობად, ასევე ინსტიტუციონალური ბაზის განსამტკიცებლად საჭიროა სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რომელიც გულისხმობს სამი საკვანძო სფეროს გამოყოფას, რომელთა კომპლექსური განვითარება ხელს შეუწყობს ჭეშმარიტად მდგრადი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ამ სფეროებს განეკუთვნება: ეკონომიკური ზრდა და სამართლიანობა; სოციალური განვითარება; ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და გარემოს დაცვა.

კვლევის მიზანია მეტათეორიული მიდგომის საფუძველზე გამოვავლინოთ სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის არსი, მიმართულება და მექანიზმები როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარების პირობები;

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ლოგიკურად ურთიერთ დაკავშირებული შემდეგი ამოცანების მიღწევა:

- მეწარმეობის არსის, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული ფაქტორის, კვლევა;
- სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის შინაარსის ახსნა და მნიშვნელობის დასაბუთება;
- ბიზნესის ჰუმანიზაციის პროცესთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების მართვის მეტაეკონომიკური არსის გამოკვლევა;
- სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპებს შორის კავშირის დადგენა;
- ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობის წარმოდგენა, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორისა;
- სოციალური სფეროს, როგორც ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების სივრცის განხილვა;
- საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ამოსავალი პრინციპების განსაზღვრა;
- სოციალურად მდგრადი განვითარების მოდელების ანალიზი;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური მეთოდოლოგიის გაანალიზება და მაჩვენებლთა დახასიათება;
- ჰუმანიზაციის მიმართულებების და მაჩვენებლების განსაზღვრა, ასევე ეკონომიკური განვითარების და მეწარმეობის დეჰუმანიზაციის საფრთხეების გამოვლენა;
- სოციალური პარტნიორობის, სახელმწიფო-კერძო, კერძო სახელმწიფო და კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობის მექანიზმების ზემოქმედების არსის და ხასიათის გამოვლენა;
- ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მეთოდური რეკომენდაციების შეთავაზება სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის მექანიზმების სრულყოფისათვის.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს წარმოდგენს სამეწარმეო საქმიანობა ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებულ (ინოვაციურ) ტიპზე გადასვლის პირობებში.

კვლევის საგანს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის

სოციალურ-ეკონომიკური ფორმები და მექანიზმები და მათი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე, როგორც განსაკუთრებულ მეტაეკონომიკურ პროცესზე.

თემის შესწავლის მდგომარეობა. სამეცნიერო ლიტერატურა ბიზნესის ჰუმანიზაციის მმართველობითი და მეტაეკონომიკური ასპექტების შესახებ მოიცავს როგორც თეორიულ იდეებს და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ასევე ემპირიული დაკვირვების შედეგებს. მნიშვნელოვანია თეორიული საფუძვლების შექმნაში ისეთი მეცნიერების მიერ შეტანილი წვლილი, როგორებიც არიან ადამიანური კაპიტალის თეორიის ფუძემდებლები, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლები გ. ბეკერი და ტ. შულცი. დასავლეთის ადამიანური კაპიტალის თეორიის მიმდევრები: ი. ბენ-პორეტი, მ. ბლაუგი, ს.ბოულსი, ბ. ვეისბროდი, ე. დენისონი, ე. ჯ. დოლანი, რ. დორნბუმი, ჯ. კენდრიკი, დ. ლინდსეი, ჯ. მინცერი, და ა.შ., ასევე ლ.ი. აბალკინი, ვ.ს. ბულანოვი, ს.ი. გლაზევი, ა.ი. დობრინინი, ა.ბ. დოკტოროვიჩი, ს.ა. დიატლოვი, რ.ი. კაპელუშნიკოვი, ა.ბ. კორიცკი, მ.მ. კრიტსკი, ვ.ი. კუმლინი, ვ.ი. მარცინკევიჩი, ბ.ა.მედვედევი და ა.შ.

სადისერტაციო კვლევის მთავარ მეცნიერულ შედეგს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის კვლევის კონცეფციის შემუშავება, რომელიც თავის თავში აერთიანებს:

- 1) სამეწარმეო თეორიის და სამეწარმეო საქმიანობის მთავარი ფუნქციების ანალიზს;
- 2) სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის ურთიერთობის ოპტიმიზაციაზე შეხედულებების წამოყენებას;
- 3) „სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის“ ცნების როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაარსის გაშლას;
- 4) სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის მთავარი მიმართულებების, როგორც ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობის დასაბუთებას;

ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

1. ახლებურადაა გაანალიზებული და განზოგადოებული სამეწარმეო საქმიანობის არსის შესწავლისადმი ძირითადი მეთოდოლოგიური

მიდგომები. (ისტორიულ კონტექსტში და სამეწარმეო ფუნქციის გამოყოფის ფუნქციონალურ კრიტერიუმებთან შესაბამისად).

მოცემულია „სამეწარმეო საქმიანობის“ ავტორისეული ინტერპრეტაცია. განსაზღვრულია მეწარმეობის ადგილი ეკონომიკური განვითარების სისტემაში.

2. ახსნილია „სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის“ ცნების შინაარსი როგორც ეკონომიკური კატეგორიისა. დასაბუთებულია ჰუმანიზაციის და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევის მთავარი მიმართულებები ეკონომიკური სისტემის და ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის მეტათეორიული ფუნდამენტური ხედვის საფუძველზე. (საწარმოო რესურსების ხარისხობრივი სრულყოფა; სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაცია; შრომითი ცხოვრების ხარისხის ამაღლება; შრომის მწარმოებლურობის და პროდუქციის ხარისხის ზრდა როგორც შემოსავლის და ადამიანური კაპიტალის ზრდის საფუძველი; სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის თანაფარდობის ოპტიმიზაცია.)
3. შემუშავებულია ცნებების ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება დიფერენციაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველები. შემოთავაზებულია კატეგორიის „ეკონომიკური განვითარება“ ავტორისეული ინტერპრეტაცია.
4. მოცემულია ეკონომიკური ეფექტიანობის და სოციალური სამართლიანობის ოპტიმიზაციის პროცესის არსი და სოციალური სამართლიანობისა და ეფექტიანობის შესაბამისობის ოპტიმიზაციის მიზნით შემოთავაზებულია შრომის შედეგების შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენება.
5. შეფასებულია სოციალური პარტნიორობის როგორც სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმის როლი.
6. დადგენილია რომ პარტნიორებს (სახელმწიფო-კერძო, კერძო-საზოგადოებრივი) თავისი ფუნქციების შესრულებისას არ შეუძლიათ

განვითარდნენ სხვა პარტნიორებთან დაპირისპირების პირობებში. (სახელმწიფოს, კერძო მეწარმეობის და დაქირავებული შრომითი რესურსების დაპირისპირება უნდა შეიცვალოს ურთიერთ-ხელსაყრელი და პროდუქტიული თანამშრომლობით მისი უმაღლესი ფორმით-პარტნიორობით, რაც გულისხმობს, ძალისხმევას და რესურსების გაერთიანებას, მაგრამ მასთან ერთად პარტნიორების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯნვას.

7. მოცემულია პარტნიორობის მექანიზმების სრულყოფისა და დანერგვის რეკომენდაციები, სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის მიზნით.
8. შემოთავაზებულია სამეწარმეო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების -კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობის ურთიერთქმედების ახალი პერსპექტიული მექანიზმი, რომელიც რეალობაში ჰუმანიზაციის პრინციპების და ადამიანური კაპიტალის განვითარების საშუალებას იძლევა პარტნიორობის საფუძველზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიულ საფუძველს წარმოადგენს შეხედულებები და მიდგომები, წარმოდგენილი მეწარმეობის, ეკონომიკური ზრდის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ადამიანური პოტენციალის და კაპიტალის, სოციალური საბაზრო ეკონომიკის, შრომითი ცხოვრების ხარისხის და მეტაეკონომიკური კონცეფციის თეორიებში.

კვლევის მეთოდოლოგიამ განსაზღვრა ნაშრომის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენება. ეს საშუალებას აძლევს ავტორს, განაგრძოს თემის შემდეგი კვლევა და გამოიყენოს მოცემული მეთოდოლოგია მონოგრაფიაზე, სტატიაზე თუ სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. წინამდებარე კვლევა ეფუძნება დარგის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მეცნიერების ნაშრომებს, თანამედროვე კვლევების გამოცემულ შედეგებს, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, სპეციალიზებულ და მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალას.

სადისერტაციო კვლევის ინსტრუმენტის როლში გამოყენებული იქნა ზოგადი მეცნიერული მეთოდები და ხერხები: სისტემური, ლოგიკური და ისტორიული მიდგომები, სტატისტიკური და შედარებითი ანალიზის, სამეცნიერო კლასიფიკაციის მეთოდები, თეორიული სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის, ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი. კვლევის პროცესში დასახული ამოცანების შესრულებისას გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი სამეცნიერო მეთოდები: შედარებითი ანალიზი (დისერტაციის პირველ, მე-2 და მე-3 თავში), სისტემური მიდგომა (მე-2, მე-3 თავები), გრაფიკული და ლოგიკური ანალიზი (1,2,3თავებში). მონაცემების სტატისტიკური ანალიზის (მეორე და მესამე თავები) ჩასატარებლად ჯერ ჩატარებულია აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური დაჯგუფება. დისერტაციის ლიტერატურის მიმოხილვაში, მე-3 თავსა და დასკვნით ნაწილში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდები. გარდა ამისა, მესამე თავში გამოყენებულ იქნა მონაცემთა მრავალცვლადიანი ანალიზის მეთოდი.

დისერტაციის სამივე თავსა და დასკვნაში გამოყენებულია მონაცემთა ბაზების ანალიზისა და შედეგებისა და დასკვნების სინთეზის მეცნიერული მეთოდები.

კვლევის ემპირიული ბაზაა თანამედროვე ქართული და უცხოური მეცნიერული ნაშრომები მონოგრაფიების, სტატიების, საკონფერენციო მასალებისა და სამეცნიერო ფორუმებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების სახით, აგრეთვე საერთაშორისო ანალიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები.

ყოველივე ამან განაპირობა **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**. ჯერ ერთი, კვლევის დროს მიღებული შედეგები შეიძლება იქნას განხილული ორიენტირის სახით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის და ჰუმანიზაციის საკითხების შემუშავების პროცესში. მეორე - სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის გამოყენება შესაძლებელია ბიზნესის ჰუმანიზაციის მმართველობითი და მეტაეკონომიკური ასპექტების შესახებ სპეციალური კურსების მომზადების პროცესში.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ცალკეული ნაწილები ორი კოლოკ-

ვიუმის სახით მოხსენდა შესაბამის საგამოცდო კოლეგიებს.

ნაშრომის პუბლიკაცია. საკვლევ თემაზე დაბეჭდილია სამი სტატია და ერთი საკონფერენციო მოხსენება.

სადისერტაციო კვლევის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 170 გვერდზე კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტისაგან, რომელიც მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს (რომელიც შედგება 9 პარაგრაფისგან), დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

ნაშრომის შინაარსი

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. ბიზნესის ჰუმანიზაციის მმართველობითი მეტაეკონომიკური პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

1.1. ბიზნესის ჰუმანიზაციის პროცესთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების მართვის მეტაეკონომიკური არსი

1.2. ჰუმანიზაცია, როგორც სოციალურ ორიენტირებული ეკონომიკის განვითარების უმთავრესი პირობა

1.3. ეკონომიკური ეფექტიანობასა და სამართლიანობას შორის რაციონალური თანაფარდობის ჩამოყალიბების აუცილებლობა

თავი 2. ბიზნეს ინტერესები და ბიზნესის მეტაეკონომიკური გააზრების განმსაზღვრელი საზოგადოებრივი გარემო

2.1. საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ამოსავალი პრინციპები

2.2. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის საკითხები თანამედროვე საზოგადოებაში

თავი 3. სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციაზე სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების გავლენის მექანიზმების სრულყოფის პრობლემები

3.1. სოციალური პარტნიორობა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი

3.2. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარების აქტუალური საკითხები

3.3. ადამიანური კაპიტალის როლი სამეწარმეო საქმიანობის და სოციალური პარტნიორობის ჰუმანიზაციაში

3.4. ბიზნესის ჰუმანიზაციისა და სოციალური პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების კვლევა ქართულ კომპანიებში დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი

1. სამეწარმეო საქმიანობის არსის ავტორისეული განმარტება და მისი ადგილის განსაზღვრა ეკონომიკური განვითარების ფაქტორების სისტემაში.

სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებების რეტროსპექტულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეწარმეობის არსის, შინაარსისა და თავისებურებების, მაკროეკონომიკური სისტემის განვითარებისთვის მისი მნიშვნელობის შეცნობის პროცესი უწყვეტია.

სამეწარმეო საქმიანობისა და მეწარმის პიროვნების შესწავლისადმი მიდგომები პირობითად შეიძლება რამდენიმე მიმართულებად დავყოთ იმისდა მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობის თუ რომელ ძირითად ასპექტზეა გაკეთებული აქცენტი ამა თუ იმ თეორიაში.

ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობის შემსწავლელი ეკონომიკური თეორიების რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ *მეწარმეობა ეკონომიკური რისკის შემცველი საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებისა და მეურნე სუბიექტის პიროვნული თვისებების ყოველმხრივ განვითარებისთვის პროდუქტული და საპროცესო ინოვაციების შემუშავებასთან.* მეწარმის, როგორც სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სუბიექტისთვის დამახასიათებელია: რისკისთვის მზაობა; ინიციატივიანობა და ინოვაციურობა; დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებაში; გარე

გარემოს პირობების პროგნოზირებისა და საქმიანობის დაგეგმვის უნარი; წარმატებისკენ სწრაფვა; მოგებისკენ სწრაფვა.

ცხრილი 1. დასავლეთელი ეკონომისტების მიერ შემუშავებული მეწარმეობის თეორიები

თეორიის ავტორი, ცხოვრებისა და შემოქმედების პერიოდი	მეწარმეობის ასპექტები (თეორიის ფარგლებში შესწავლილი)
რ. კანტილიონი (1680-1734), ა.სმიტი (1723-1790) ი. ტიუნენი (1783-1850)	რისკი. მეწარმეობა - საქმიანობის განსაკუთრებული სახე, დაკავშირებული რისკის ელემენტებთან. მეწარმე - მესაკუთრე, რაღაც კომერციული იდეის რეალიზაციისათვის ეკონომიკურ რისკზე წამსვლელი
ჟ.ბ. სეი (1767-1832)	წარმოების ფაქტორების კომბინირება. მეწარმეობა-საქმიანობა, დაკავშირებული წარმოების ფაქტორების ახალი კომბინაციის შექმნის აუცილებლობასთან, მიღწევის ახალი შესაძლებლობების ძებნა
ჯ. მილი (1806-1873) ა. მარშალი (1842-1924) ო. ვალრასი (1801-1866)	ფუნქციონალობა. მესაკუთრესა და მეწარმეს შორის განსხვავება. მეწარმე-წარმოების ორგანიზატორი (მენეჯერი), საკუთრების უფლებით დაუმძიმებული
ვ.ზომბარტი (1863-1941) მ.ვებერი(1864-1920)	რაციონალობა და რელიგიური ფესვები. სამეწარმეო საქმიანობა-ეს რაციონალობის გატარება. მეწარმის მთავარი მიზანი- სწრაფვა აყვავებისაკენ, თავისი

	საქმის ზრდისკენ, მოგების ზრდისკენ
კ. შენგერი (1840-1921) ო.ბიომ-ბავერკი (1851-1914) ფ.ვიზერი (1851-1926) ფ. ნაიტი (1885-1972)	რისკი და განუსაზღვრელობა. მეწარმე-სუბიექტი, რომელიც იღებს სამეწარმეო (ან შრომით) შემოსავალს სპეციფიკური ფუნქციის -გადაწყვეტილების მიღება განუსაზღვრელობის და რისკის პირობებში - რეალიზაციისათვის
ი. შუმპეტერი (1883-1950) ფ. ჰაიეკი (1899-1992) პ.დრუკერი (1909-2005)	ინოვაციურობა. მეწარმე - სუბიექტი, რომლის ფუნქციას ახალი კომბინაციების განხორციელება წარმოადგენს

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საწყისი წყაროებიდან და დამატებითი ლიტერატურიდან

წარმოდგენილი თეორიები არ წამოადგენს ამომწურავ სიას, იგი ასახავს მხოლოდ ყველაზე ცნობილი დასავლელი ავტორების შეხედულებებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი აღწერილი მიდგომა წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული პერიოდის კვინტესენციას შემუშავების პერიოდის, სამეურნეო ურთიერთობების ხასიათისა და ტექნიკური პროგრესის დონის შესაბამისად. კვლევის ფარგლებში ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერებულვართ ეკონომიკური სისტემის აღწერასა და ანალიზზე მისი განვითარების ყოველ ეტაპზე, რათა არ ავცდენოდით ჩვენს მთავარ მიზანს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ თეორიებში საერთოა მეწარმეობის როგორც

რისკის შემცველი საქმიანობის გაგება, რომლის მიზანია მოგების (მეწარმის შემოსავლის) მიღება. XVII-XVIII საუკუნეებში აღნიშნული კრიტერიუმებით ამოიწურებოდა მეწარმეობის ცნება. შემდგომ, XIX საუკუნეში მეტ ყურადღებას უთმობდნენ რაციონალურობას, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული იდეა განვითარებას ჰპოვებს თვისებრივად ახალ არსში - მეწარმეობის ინოვაციურ ხასიათში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეობის ისტორიის გაანალიზებისას ჩვენ არ შეგვხვედრია არცერთი მინიშნება საწარმოო საქმიანობის ჰუმანიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მონათმფლობელისა და მონის, ყმა გლეხისა და ფეოდალის, კაპიტალისტისა და დაქირავებული მუშის ურთიერთდამოკიდებულება უძველესი დროიდან ცხოვრების ნორმა იყო და არ განისჯებოდა არც მორალურად და არც საკანონმდებლო დონეზე.

პირველად ისტორიაში, მუშათა ბრძოლამ საკუთარი უფლებებისთვის მასობრივი ხასიათი შეიძინა XIX საუკუნეში. ამ პერიოდში მუშები უმძიმეს პირობებში იმყოფებოდნენ. 1802 წელს მიღებულ იქნა პირველი კანონი, რომელიც არეგულირებდა ბავშვთა შრომას ინგლისში; 1871 წელს გერმანიაში მიიღეს კანონი, რომელიც ავალდებულებდა ფაბრიკების მეპატრონეებს მომუშავეს გარდაცვალების ან დასახიჩრების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას.

თანამედროვე მეწარმეებს უკეთ ესმით, რომ პირობების გაუმჯობესებით, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირებით შეიძლება უკეთესი შედეგების მიღება, ვიდრე მომუშავეთა შეუზღუდავი ექსპლუატაციისას.

ჩვენი აზრით, წარსულში და თუნდაც დღემდე არსებული კლასობრივი ანტაგონისტური ფორმაციები გულისხმობს დაქირავებული მუშახელის წარმოების საშუალებად მიჩნევას. მაშინ როცა საზოგადოების განვითარების შემდეგ სტადიაზე გადასვლა მოითხოვს ადამიანის როგორც სტრატეგიული რესურსის, განვითარების პირობისა თუ მიზნის როლისა და მნიშვნელობის ახლებურ გააზრებას. სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის აუცილებლობა თვალსაჩინო ხდება. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ჩვენი კვლევის აქტუალობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეობა წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ ფაქტორს, რომელსაც ძალუძს მაკროეკონომიკური სისტემის თვისებრივი მახასიათებლების შეცვლა. მდგრადი განვითარების ყველა შემადგენელი ელემენტი (ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური) საჭიროებს ნოვატორი მეწარმეების ფართო ფენას, რომელიც თავისი პოტენციალით და უნარებით საფუძველს ჩაუყრის პოსტინდუსტრიული განვითარების თვისებრივად ახალ ფაზაზე - ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლას.

2. დადასტურებულია სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების აუცილებლობა.

ეკონომიკა ადამიანისთვის არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ არსებობს ადამიანი. ნებისმიერ წარმოებრივ პროცესსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს საფუძველად უდევს ადამიანი - მომუშავე, მეწარმე. დაქირავებულ მუშაკს მეტად ამოძრავებს საკუთარი სოციალური ინტერესები, ვიდრე ეკონომიკური, ხოლო დამქირავებელს - ეკონომიკური ინტერესები, ვიდრე სოციალური.

მეწარმის მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლებს წარმოადგენს საქმიანობის საერთო შედეგიანობა, ბაზრის წილი, მომგებიანობა და სხვ. მომუშავისთვის კი მნიშვნელოვანია სოციალური სამართლიანობა, რომელიც გულისხმობს: ღირსეულ შრომის ანაზღაურებას, მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას შრომის მწარმოებლურობის გადიდებისთვის, სოციალური გადახდების გარანტიებს, ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობას და სხვ. ამრიგად, შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობების დასაძლევად აუცილებელია კომპრომისი და მხარეთა მიერ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება.

მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა გულისხმობს ანტაგონიზმის შერბილებას, დაქირავებული მუშახელისა და მეწარმის მთავარი მიზნების თანხვედრას.

ჟ. მილი თავის კვლევებში აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშახელს შორის არ არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობა. უფრო მეტიც, მუშა შეიძლება წარმოვიდგინოთ კაპიტალისტადაც, ის ხომ ავანსად აბანდებს თავის კაპიტალს - თავის შრომას ხელფასის მიღებამდე.

შრომის ანაზღაურების დონე ჩვენს ქვეყანაში ჩამორჩება მსოფლიო მაჩვენებლებს. შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობა უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამ პრობლემითაა გამოწვეული. მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ხელფასით ადამიანს შეუძლია უზრუნველყოს მხოლოდ ბიოლოგიური გადარჩენა და, ამდენად, იგი ხელს ვერ შეუწყობს მის პიროვნულ განვითარებას. სამართლიანობისა და ეფექტიანობის თანაფარდობის ოპტიმიზაციის მიზნით მოითხოვება შრომის შედეგების შეფასების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სრულყოფა.

აუცილებელია სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის თანაფარდობის დაბალანსება (ოპტიმიზაცია) რომელიმე მხარისთვის ზიანის მიუყენებლად. *მოცემულ შემთხვევაში სოციალურ სამართლიანობად უნდა გავიგოთ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება ორგანიზაციის განვითარებაში მის მიერ შეტანილი წვლილის შესაბამისად, ხოლო შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში - სოციალური ნორმატივების შესაბამისად. აუცილებელია ამ უკანასკნელის რეგულარული აქტუალიზაცია, მათი არარსებობის შემთხვევაში კი - შემუშავება.*

3. განმარტებულია „სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის“ როგორც ეკონომიკური კატეგორიის ცნების შინაარსი. სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის აუცილებლობის არგუმენტაცია.

ზოგადად, „ჰუმანიზაცია“ შეიძლება განვმარტოთ როგორც „გაადამიანურება“ - ეს კი ნიშნავს ადამიანის მიმართ ყურადღების გაძლიერებას, მის მიჩნევას არა რაიმე მექანიზმად ან საშუალებად, არამედ განვითარების მიზნად დასახვას.

თანამედროვე საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციის აუცილებლობის აღიარება ასახულია სოციალურ საჭიროებებზე სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების მხრიდან მზარდ დანახარჯებში, რომლებიც იღებენ ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების ფორმას. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის პირველ ათწლეულამდე სოციალურ საჭიროებებზე ხარჯების წილი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მუდმივად იზრდებოდა. პრიორიტეტულ ხარ-

ჯვით მუხლებს წარმოადგენდა სოციალური სფეროს დარგები (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, ბინათმშენებლობა) - მათზე გაწეული მთლიანი ხარჯები ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა წარმოებული მშპ-ს 45 %-მდე, ხოლო შვეციაში კი 60 %-მდეც კი ცალკეულ წლებში.

ჩვენ შეიძლება დავაკვირდეთ სოციალური მიმართულობის გაძლიერების მდგრად ტენდენციას სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურაში. მაგალითად, აშშ-ში 1991-2003 წწ. საბიუჯეტო სოციალური ხარჯების წილი 52,1 %-დან 65,6 %-მდე გაიზარდა, 2004-2009 წწ. იგი შეადგენდა 61,3-64,8 %-ს, 2010 წელს მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს - 69,0 %-ს, ხოლო 2011 წელს 65,7 %-ს. გერმანიაში კი, სოციალურ უზრუნველყოფაზე, განათლებაზე და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 2012 წელს შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯების 56,15 %-ს. რუსეთში ეს ტენდენცია სუსტადაა გამოხატული (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2 – ჯანდაცვასა და განათლებაზე „დიდი რვიანის“ ქვეყნების ხარჯების დინამიკა

ქვეყანა	დანახარჯები ჯანდაცვაზე, % მშპ-ში			დანახარჯები განათლებაზე, % მშპ-ში		
	2007	2011	2018	2007	2011	2018
დიდი ბრიტანეთი	7,00	8,40	9,3	5,12	5,70	6,51
გერმანია	10,30	10,40	11,10	4,50	5,90	4,50
იტალია	8,10	8,70	9,50	4,50	4,70	4,50
კანადა	8,80	10,10	9,90	6,50	5,00	5,80
რუსეთი	5,40	5,40	3,70	2,90	4,60	4,10
აშშ	13,40	15,70	15,20	4,90	5,50	5,30
საფრანგეთი	10,10	11,00	10,10	6,24	5,90	6,05
იაპონია	7,70	8,00	9,3	3,50	3,60	3,60

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ OECD iLibrary-ს საინფორმაციო ბაზის მონაცემების საფუძველზე

საერთო ხარჯებში სოციალური მუხლების მნიშვნელობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციების მდგრადად მზარდი ტენდენცია ჯანდაცვასა და განათლებაში. გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების დონეზე, დინამიურად ცვალებად პირობებთან შეგუების უნარზე, მოწინავე ტექნოლოგიების აღქმისა და გამოყენების უნარზეა დამოკიდებული თუ რამდენად ეფექტიანად და სწრაფად შეძლებენ ქვეყნები მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე გასვლას.

ჰუმანიზაციის თეორიის ფარგლებში ხელმძღვანლის პირდაპირ

მოვალეობებს შეადგენს:

- წარმოებრივი საქმიანობის ორგანიზაცია (ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით);

- მუშაობის გამდიდრება (რუტინული მუშაობისთვის ისეთი ფუნქციების დამატება, რომლებიც ამაღლებენ მომუშავეს პასუხისმგებლობას საკუთარი საქმიანობის დაგეგმვაზე, ორგანიზაციაზე, კონტროლსა და შეფასებაზე);

- ახალი თანამშრომლების სოციალიზაციისათვის პირობების შექმნა (მომუშავეს პროფორიენტაცია და ადაპტაცია ორგანიზაციის სოციალურ, წარმოებრივ და ტექნოლოგიურ გარემოსთან, მისი შესვლა შრომით კოლექტივში და მის როლურ კულტურაში);

- მამოტივირებელი ინსტრუმენტების გამოყენება პერსონალთან მუშაობაში (მატერიალური სტიმულირება, წახალისება და სხვ.).

ამრიგად, ავტორის აზრით, *სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაცია გულისხმობს კერძო მეწარმეობის სუბიექტების მიერ ისეთი პირობების ჩამოყალიბების ტენდენციას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოს დაქირავებულ მუშახელის უნარების განვითარებასა და რეალიზაციას, მატერიალური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მათი შრომის მწარმოებლურობისა და მეწარმეთა შემოსავლების ზრდის საფუძველზე.*

მეწარმე უნდა ამაყოფილოს არა იმდენად შექმნილი მატერიალური-ნივთიერი და ფინანსური სიმდიდრით, რამდენადაც მათ მიერ შექმნილი და მაქსიმალურად განვითარებული პერსონალით (მომუშავეთა კოლექტივით).

4. გამოყოფილია სამეწარმეო საქმიანობის ახალი - აღწარმოებითი ფუნქცია.

მეწარმეობის ეკონომიკური არსი ვლინდება მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებში. მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ მეწარმის მიერ თავისი საქმიანობის ორგანიზებისას შესრულებული ფუნქციები სპეციფიკურია ისტორიული განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე, ამასთან, წინა ეტაპზე მეწარმეობისთვის დამახასიათებელი ფუნქციები სრულად ვერ

აღმოიფხვრება, ისინი მეორე პლანზე გადადის, ხოლო მათ ადგილს იკავებს ახალი, აქტუალური, დროისა და განვითარების სულისკვეთებით ნაკარნახევი ფუნქციები.

მეწარმეობის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: ზოგადეკონომიკური, რესურსული, ინოვაციური, სოციალური, ორგანიზატორული ფუნქციები. მათ ასახვა ჰპოვეს მთელ რიგ თეორიულ კვლევებში. ზოგიერთ მათგანში ჩვენ შეიძლება ვიხილოთ დამატებითი - პოლიტიკური ფუნქცია. ზემოთ დასახელებული ყველა ფუნქცია დამახასიათებელია ინდუსტრიული აღწარმოების სისტემისთვის. ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფარგლებში სამეწარმეო სტრუქტურებმა უნდა შეასრულონ კიდევ ერთი - აღწარმოებითი ფუნქცია.

ამ შემთხვევაში საუბარია ადამიანური კაპიტალის აღწარმოებასთან დაკავშირებულ ფუნქციებზე. მისი შემადგენელი ნაწილია სამეწარმეო უნარები. ადამიანური კაპიტალის აღწარმოება მოიცავს 4 სტადიას, რომლებიც თანმიმდევრულად და უწყვეტად ცვლიან ერთმანეთს. ყოველ ამ სტადიაზე სამეწარმეო სტრუქტურები ასრულებენ თავიანთ განსაკუთრებულ ამოცანებს. მაგალითად, ადამიანური კაპიტალის წარმოების სტადიაზე, გარდა უშუალოდ წარმოებაზე მომზადებისა, მეწარმეებმა შესაძლოა განახორციელონ პროფესიული სასწავლო დაწესებულებების „დაკვეთა“ სპეციალისტების მომზადებაზე, მიიღონ ისინი სტაჟირებაზე და სხვ. ადამიანური კაპიტალის განაწილების სტადიაზე მეწარმეები შედიან სოციალურ-შრომით ურთიერთობებში ადამიანური კაპიტალის მფლობელ მომუშავეებთან. გაცვლაში მოიაზრება ადამიანური კაპიტალის გაცვლა ხელფასზე, ასევე სპეციალისტების გადასვლა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში, რომელიც დაკავშირებულია შრომის პირობების გაუმჯობესებასა და შრომითი საქმიანობის პროცესში ადამიანური პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობების გაფართოებასთან. ადამიანური კაპიტალის მოხმარების სუბიექტია უშუალოდ მეწარმე, რომელიც იყენებს მომუშავის უნარებს, ცოდნასა და გამოცდილებას წარმოებრივი საქმიანობის პროცესში. ადამიანური კაპიტალის შემდგომი წარმოება შეიძლება დაკავშირებული იყოს პერსონალის გადამ-

ზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან, მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებასთან, თვითრეალიზაციისა და ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობისთვის მათი შესაძლებლობების გაფართოებასთან.

ასევე უწყურადღებოდ ვერ დავტოვებთ თავად მეწარმის, როგორც აქტიური ეკონომიკური სუბიექტის ადამიანური კაპიტალის აღწარმოებას. თავისი საქმიანობის პროცესში მეწარმე ხარჯავს არა მხოლოდ მატერიალურ რესურსებს, არამედ ჯანმრთელობასაც, გონებრივ შესაძლებლობებს, ჩვევებს. ბუნებრივია, თავისი აქტიურობის შესანარჩუნებლად, მიღებული მოგების ნაწილი მეწარმემ უნდა დახარჯოს საკუთარი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების აღდგენასა და კომპეტენციების ამაღლებაზე, ხოლო მოგების დანარჩენი ნაწილი მიმართოს საქმის განვითარებაზე.

5. არგუმენტირებულია ცნებების „ეკონომიკური ზრდა“ და „ეკონომიკური განვითარება“ დიფერენციაცია.

ახალი პოსტინდუსტრიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების გზაზე სწორედ „განვითარებას“ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებას ერთი შეხედულება არ აქვს ეკონომიკური ზრდის არსის განმარტებასთან დაკავშირებით. მეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა რაოდენობრივი ფაქტორის გათვალისწინებას, რომელიც აისახება მშპ-ს, მეკ-სა და ეშ-ს მაჩვენებლებში. მრავალი განმარტების მიმოხილვის შედეგად ამა თუ იმ ავტორს შეუძლია დაასკვნას, რომ მაკროეკონომიკური დონისთვის ეკონომიკური ზრდა, პირველ რიგში, არის მშპ-ს რეალური მოცულობის გადიდება. მაგრამ, დღევანდელი პოზიციიდან, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ასეთ შეხედულებას პრობლემაზე. ჩვენი აზრით, იქმნება მაჩვენებლების შეუზღუდავი ზრდის პრობლემის ხელახალი გააზრებისა და სოციალური განვითარების მიმართულებით ორიენტაციის შეცვლის მწვავე აუცილებლობა.

ზრდასა და განვითარებას შორის მთავარი განსხვავებაა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ადამიანის როლისა და ადგილის ცვლილება. ეკონომიკური ზრდის კონტექსტში ადამიანი „შრომის“ წარმოების ფაქტორია, ხოლო განვითარების კონტექსტში ადამიანი გახლავთ

მიზანი, სისტემის განვითარების ძირითადი კრიტერიუმი, აქტიური ეკონომიკური სუბიექტი, პირველ რიგში კი მეწარმე, შემოქმედებითი მუშაკი. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ განვითარების გარეშე ზრდა შესაძლებელია, ხოლო საზოგადოების განვითარება (მისი ეკონომიკური ქვესისტემის ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ ადამიანური პოტენციალის განვითარებისა და ადამიანურ კაპიტალში მისი რეალიზაციის პირობით.

საზოგადოების განვითარების ახალ, პოსტინდუსტრიულ ეტაპზე ადამიანი წარმოადგენს არა მხოლოდ და არა იმდენად საშუალებას, რამდენადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზანს. ჩვენ ვხდებით თვითმხილველები უმნიშვნელოვანესი პროცესისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანის როლის ძირეული ცვლილება სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში.

მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით, კვლევის ავტორი გვთავაზობს ცნების ამგვარ განმარტებას: *ეკონომიკური განვითარება არის განსაკუთრებული მაკროეკონომიკური პროცესი, რომლის დროსაც ხდება წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის როგორც რაოდენობრივი გადიდება და თვისებრივი სრულყოფა, ასევე თავად მისი წარმოების ფაქტორების, პირველ რიგში კი მთლიანად ადამიანური კაპიტალის თვისებრივი ცვლილება, ასევე მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში.*


6. დამატებით არგუმენტირებულია „ადამიანური პოტენციალისა“ და „ადამიანური კაპიტალის“ ცნებათა დიფერენციაცია.

ადამიანის, წარმოებრივ საქმიანობაზე გავლენის მექანიზმის ფიზიკური თვისებებისა და შემოქმედებითი უნარების შესწავლა თეორეტიკოსი ეკონომისტების ყურადღების ცენტრშია პოლიტეკონომიის კლასიკური სკოლის სათავეებიდან. თუმცა, ჩვენ ხშირად ვხვდებით ადამიანური პოტენციალისა და ადამიანური კაპიტალის გაიგივებას. მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით ავტორმა საჭიროდ ჩათვალა მოცემული ცნებების დასაბუთებულად გამიჯნვა.

ადამიანური პოტენციალი არის ადამიანსა და საზოგადოებაში

არსებული ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარ-ჩვევების „მარაგი“, რომლის მობილიზებაც შესაძლებელია ასამოქმედებლად და შესაძლებელია მათი გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად, გეგმის განსახორციელებლად, გადაწყვეტილების მისაღებად

ადამიანური კაპიტალი გახლავთ პრაქტიკულ საქმიანობაში ადამიანის პოტენციალის რეალიზაციის ფორმა (იხ. სქემა 1).



სქემა 1. ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის ძირითადი მდგენელები.

ადამიანურ კაპიტალში, კლასიკური გაგებით კაპიტალის ანალოგიურად, შესაძლებელია ორი ასპექტის გამოყოფა - მარაგისა და ნაკადის. ადამიანური კაპიტალი მარაგის სახით წარმოადგენს დაგროვილ ადამიანურ პოტენციალს, რომელსაც მოცემული მომენტისთვის არ გააჩნია პრაქტიკული (ეკონომიკური) რეალიზაციის შესაძლებლობა ადამიანის წარმოებრივ საქმიანობაში. კაპიტალი-მარაგის სტრუქტურა მოიცავს თანდაყოლილ შესაძლებლობებს, ქცევის კულტურას, ცოდნას (ზოგადსა და სპეციალურს), უნარ-ჩვევებსა და საქმიანობის პროცესში შეძენილ ცოდნას და, რაც მთავარია, პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარს. თუ განვიხილავთ ადამიანურ

კაპიტალს როგორც ნაკადს, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ინვესტიციები განათლებაში, აღზრდაში, ჯანმრთელობის დაცვაში. ამრიგად, ინვესტიციები ადამიანის პიროვნებაში, მათი რეალიზაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი აქტივია, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების გაზრდილ ნაკადს როგორც ამჟამად, ასევე მომავალში თავად პიროვნებისთვის და ორგანიზაციისთვისაც, სადაც იგი ახდენს საკუთარი პროფესიული და პიროვნული პოტენციალის რეალიზებას.

უნდა აღინიშნოს, რომ *კაპიტალის თავისებურება - შემოსავლის მოტანის უნარი* ეხება ადამიანურ კაპიტალსაც. მაგალითად, თუ უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე ადამიანი არ ახორციელებს შრომით საქმიანობას, ანუ არ იყენებს თავის ცოდნას შემოსავლის მისაღებად, მაშინ ეს ცოდნა წარმოადგენს ადამიანურ პოტენციალს. იმ სიტუაციაში, როდესაც ადამიანი შრომობს, მაგრამ არ გააჩნია განსაკუთრებული ცოდნა, მაღალი კვალიფიკაცია და შესრულებულ სამუშაოზე იღებს დაბალ ანაზღაურებას, მაგალითად, საცხოვრებელი მინიმუმის დონეზე, ზოგჯერ კი უფრო ნაკლებსაც, ჩვენ ასევე არ შეგვიძლია საუბარი ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე. ეს მაგალითი უფრო ასახავს ადამიანის შრომის უნარს, ხოლო მისი გასამრჯელო იძლევა მომუშავეს სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობას შრომისუნარიანობისა და ძირითადი ფსიქო-ფიზიკური თვისებების აღწარმოების, ანუ სამუშაო ძალის მარტივი აღწარმოების დონეზე, რაც ასახავს ჰპოვებს ხელფასის კატეგორიაში. თუ ადამიანი წარმოებრივი საქმიანობის პროცესში ახდენს მისი ყველა უნარ-ჩვევის, პიროვნული თვისებების რეალიზებას და იღებს მაღალ გასამრჯელოს; გააჩნია სამუშაო ძალის გაფართოებული აღწარმოების, ორგანიზაციის მოგებებში მონაწილეობის (მაგალითად, აქციების ფორმით) შესაძლებლობა; აქვს საკმარისი ფინანსური საშუალებები საბანკო ანაზღაურების გასახსნელად, შეგვიძლია ვისაუბროთ შემოსავლის მიღებაზე არა მხოლოდ ხელფასის, არამედ ადამიანური კაპიტალის ფორმით (ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე მოგების ფორმით).

ადამიანური კაპიტალის ცნებაში ავტორი გულისხმობს შემდეგ

მნიშვნელობას - ეს არის დროის განსაზღვრული მომენტისთვის, ინვესტირების პროცესში დაგროვილი ფსიქო-ფიზიკური, ინტელექტუალური, პროფესიული თვისებების, უნარ-ჩვევებისა და ადამიანის ქცევის მოტივების კომპლექსი, რომლის რეალიზება ხდება წარმოებრივი (ეკონომიკური) და სოციალური საქმიანობის განხორციელების პროცესში შემოსავლის სახით. იგი მიმართულია პიროვნების შემდგომ განვითარებასა და იმ ეკონომიკური სისტემის სრულყოფაზე, რომლის ფარგლებშიც ის (ადამიანური კაპიტალი) ფუნქციონირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური კაპიტალის როლი მეწარმეობის განვითარების ფაქტორების სისტემაში არ დაიყვანება სამუშაო ძალის მარტივ აღწარმოებაზე. ახალ მსოფლიოში, რომელიც გვიბიძგებს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლისკენ, ადამიანი მთელი თავისი ინდივიდუალური, პიროვნული თვისებებით წარმოადგენს მთავარ რესურსს და უნდა გახდეს განვითარების მთავარი მიზანი.

7. დადასტურებულია, რომ სოციალური პარტნიორობის მექანიზმი სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია.

კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებულ კლასებს, ერებსა და კონფესიებს შორის გაბატონებისთვის ბრძოლის, წინააღმდეგობების იდეოლოგია წარსულს უნდა ჩაბარდეს, რადგანაც ბირთვულ საუკუნეში მან შეიძლება მიგვიყვანოს კაცობრიობის თვითგანადგურებაზე. მისი ადგილი აუცილებლად უნდა დაიკავოს სოციალური პარტნიორობის იდეოლოგიამ საზოგადოების სხვადასხვა წევრს შორის არსებული საერთო სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაში.

საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში არსებულ მრავალ ნაკლოვანებაზე მეტყველებს უკანასკნელი წლების მოვლენები. მწვავედ იგრძნობა ორმაგი სტანდარტების სისტემა: ერთი მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს ყველა მოქალაქის თანაბარი უფლებები, მეორე მხრივ კი - ადამიანთა არათანაბარი შესაძლებლობები. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ საბაზრო ფუნდამენტალიზმზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა სამარ-

თლიანი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია წარმოების საშუალებები და არსებობს საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის ხარჯზე, მცირე ნაწილი კი წარმოების საშუალებების მესაკუთრეა და იგი ითვისებს ეროვნული შემოსავლის დიდ ნაწილს. საზოგადოების წინაშე დგას ახალი პრობლემა - სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში ახალი ნეოლიბერალური მოდელის საბაზრო მექანიზმის ალტერნატივის ძიება. იქ, სადაც საბაზრო მექანიზმს მოსდევს არასასურველი შედეგები, იგი უნდა შეიზღუდოს. ბაზრის უკიდურესი გამოვლინებების, მეწარმეობისა და შრომითი ურთიერთობების განვითარებაზე მათი გავლენის შესაზღუდად გამოყენებული უნდა იქნას უფრო განვითარებული, ყველა მომუშავის მომცველი, მათი ინტერესების სრულად გათვალისწინებისა და დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფი სოციალური პარტნიორობის მექანიზმი.

შესაძლებელია სოციალური პარტნიორობის განხილვა ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთქმედების მექანიზმად, რომელიც გამოიხატება პარტნიორობით დაინტერესებული ყველა მხარის ერთმანეთზე გავლენის მეთოდების, ფორმებისა და ბერკეტების ერთობლიობაში. პარტნიორობა გულისხმობს მხარეთა ადრე შეუთავსებელი ინტერესების შეთანხმებას შრომის საერთო მიზნის, საკუთრივ საერთო შრომის როგორც პროცესისა და მხარეთა ორმხრივი მაქსიმალური ნდობის საფუძველზე. ასევე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეწარმეობისა და შრომის ჰუმანიზაციის სფეროში პარტნიორული ურთიერთობების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობა დასახული მიზნის მისაღწევად, რომელიც დაფუძნებული იქნება პარტნიორების გრძელვადიან, სახელშეკრულებო და თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე, ასევე ყოველი მხარის მიერ სარგებლის მიღებაზე.

სოციალური პარტნიორობის მექანიზმის განვითარების აქტუალობა თვალნათელია, რადგან პარტნიორობის პრინციპების რეალიზაცია წარმოადგენს ანტაგონისტური წინააღმდეგობების გადაჭრის ერთადერთ შესაძლო საშუალებას შრომითი ურთიერთობების სფეროში და მის საფუძველზე ეფექტიანი მეწარმეობის გასავითარებლად.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში ავტორს შემოთავაზებული აქვს სოციალური პარტნიორობის ეფექტიანობისა და სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის კრიტერიუმები, რომლებიც განიხილავენ პარტნიორობის მექანიზმის დანერგვის შედეგებს რამდენიმე ჭრილში: ორგანიზაციის პერსონალის განვითარების; ეკონომიკური ეფექტიანობის; სოციალური სამართლიანობის; კანონის უზენაესობის კუთხით.

8. კვლევაში დასაბუთებულია სახელმწიფო-კერძო და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მექანიზმების ფართოდ გამოყენების პერსპექტიულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისთვის.

პარტნიორობასთან დაკავშირებით სხვადასხვა წყაროებში მოცემული არაერთი განმარტების განხილვის საფუძველზე ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ *სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა არის საზოგადოებრივი სიკეთის (სოციალური ინფრასტრუქტურა) შექმნისა და სოციალური მომსახურებების (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვ.) გაწევის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და კერძო სექტორის რესურსების (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური (მაგალითად, ძალაუფლების)) კონსოლიდაცია გრძელვადიანობის, ურთიერთსარგებლიანობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპებზე. ამასთან, სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანი უნდა გახდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა, ბიზნესისთვის კი ეს ნიშნავს საქმიანობის სივრცის გაფართოებას და საზოგადოებრივი აღწარმოების იმ სეგმენტებში შეღწევას, რომლებიც ადრე მხოლოდ სახელმწიფოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა.*

გარდა ამისა, ნაჩვენებია ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მეშვეობით სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციის უპირატესობები და ნაკლოვანებები. გამოვლენილია სოციალური სფეროს დარგები, სადაც სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების პარტნიორობის მექანიზმის გამოყენება ყველაზე ეფექტიანი გახდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში სახელმწიფო როგორც პარტნიორი, გვევლინება არა მხოლოდ საჯარო ხელისუფ-

ლების სუბიექტის, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტის როლში, რომელიც თავისი ინტერესების რეალიზებას ახდენს სახელმწიფო მეწარმეობის ფორმით. კვლევაში მოცემულია სახელმწიფო მეწარმეობის საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

9. ავტორის მიერ შემოთავაზებულია კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ სახელმწიფო-კერძო და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობა.

სხვადასხვა წყაროებში წარმოდგენილი მასალების გაანალიზების შედეგად ავტორი შეეჯახა ცნებათა ერთგვარ აღრევას. საუბარია კერძო-სახელმწიფო პარტნიორობაზე. ამასთან, უმეტეს შემთხვევებში საქმე ეხება სიტყვათა თანმიმდევრობის უბრალო ჩანაცვლებას, რასაც არ აქვს მნიშვნელოვანი დასაბუთება. უფრო მკაფიოდ გასაგებად, ჩვენ ვთავაზობთ დამახასიათებელი თავისებურებების (კრიტერიუმების) ჩამონათვალს, რომელთა შესაბამისადაც ჩვენ შევძლებთ ერთმანეთისგან განვასხვავოთ სახელმწიფო-კერძო და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობა (იხ. სქემა 2).

წარმოდგენილი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას წარმოადგენს პარტნიორობა: თუ მისი ინიციატორია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს არანაკლებ პროექტის ღირებულების ნახევრის ოდენობით, პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ რისკებს სახელმწიფო პარტნიორი იღებს საკუთარ თავზე, გარდა ამისა, საბოლოო ობიექტი გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში სახელმწიფოს სოციალური ან ეკონომიკური ფუნქციების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის შემთხვევაში საპირისპირო სიტუაციასთან გვაქვს საქმე: იგი პირველ რიგში მიმართულია კერძომეწარმეობრივი მიზნების რეალიზაციისკენ, ამასთან, პროექტი დაკავშირებული უნდა იყოს ხელისუფლების ორგანოების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების რეალიზაციასთან, რომელთა შესაბამისადაც ძირითად დანახარჯებს საკუთარ თავზე იღებს კერძო პარტნიორი, თუმცა რისკების სადაზ-

ღვევო უზრუნველყოფა ეკისრება სახელმწიფო პარტნიორს. საბოლოო ობიექტი შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში და გაიცეს გრძელვადიანი იჯარით მეწარმეზე. უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეს არ შეუძლია მისთვის იჯარით გადაცემული ობიექტის საქმიანობის პროფილის შეცვლა. მეწარმე, სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, თავადაც შეიძლება გახდეს პარტნიორობის ინიციატორი დამატებითი დაფინანსების ან სხვა კაპიტალდაბანდებების მოსაპოვებლად.

10. კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობა სამეწარმეო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების ახალი, პერსპექტიული მექანიზმია.

აღნიშნული მექანიზმი იძლევა კერძო ბიზნესისა და არაკომერციული სტრუქტურების წარმომადგენელთა ძალისხმევით სასიცოცხლო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას სახელმწიფოს მხრიდან უშუალო ჩარევის გარეშე.

კვლევის ავტორის აზრით, *კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობა წარმოადგენს კერძო ბიზნესისა და არაკომერციული სტრუქტურების* (უმალესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არაკომერციული ამხანაგობები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) *ურთიერთდამოკიდებულებების განსაკუთრებულ სახეს.*

ასევე, ჩვენ მიერ შემოთავაზებულია *კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსი:*

1. კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობის დაკანონება საკანონმდებლო დონეზე;
2. შესწორებების შეტანა კანონმდებლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სამეწარმეო სტრუქტურებს შორის კერძო-საზოგადოებრივი პარტნიორობის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ;
3. აკადემიურ თანამეგობრობასთან ურთიერთდამოკიდებულებებში პარტნიორის რანგში მყოფი სამეწარმეო სტრუქტურების წახალისება (მაგალითად, შეღავათიანი დაბეგვრა);

4. უმაღლესი სასწავლებლებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება პარტნიორული ურთიერთობების სფეროში კერძო პარტნიორის ასარჩევად.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მსჯელობიდან შეიძლება გავაკეთოთ საკმაოდ მარტივი დასკვნა სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის აუცილებლობასა და პერსპექტიულობასთან დაკავშირებით, რაც მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

განვითარების პრიორიტეტი უნდა გახდეს ადამიანური კაპიტალის ზრდა და ეფექტიანი გამოყენება, რომელიც მოიცავს თავად მეწარმეთა საზოგადოებრივ ფენას. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოცემული პრიორიტეტი უნდა გამოიხატებოდეს როგორც ადამიანური კაპიტალის შემქმნელი სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების ზრდაში, ასევე სამეწარმეო სტრუქტურების, დაქირავებული მუშახელისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთქმედების ახალი, პერსპექტიული ფორმებისა და მექანიზმების დანერგვაში.

ავტორს მიაჩნია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციის საფუძველი უნდა გახდეს მოცემული პროცესით დაინტერესებული ყველა მხარის, სახელდობრ, მეწარმეების, სახელწმიფოს, სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი პარტნიორობა.

დასკვნა

ნაშრომში წარმოჩენილი სამეცნიერო პრობლემა მდგომარეობს სამეწარმეო საქმიანობაში ჰუმანიზაციის პრინციპების მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული რეალიზაციის ობიექტურ აუცილებლობაში ქვეყანაში მდგრად სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის პირობებში.

წარმოდგენილი ნაშრომი აანალიზებს პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებისა და მათი მიმდევრების მიღწევებს განსახილველ პრობლემასთან მიმართებით და გვთავაზობს სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის ახალ კონცეფციას, რომელიც დაფუძნებული იქნება პოსტინდუსტრიული განვითარების ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ თანამედროვე წარმოდგენებზე.

ავტორს განხილული აქვს მეწარმეობისთვის იმანენტური ზოგიერთი ფუნქცია, რომლებიც ასახავენ მის ეკონომიკურ არსს. თუმცა, გამოკვლეულ წყაროებში არ იყო წარმოდგენილი ფუნქცია, რომელსაც განსაკუთრებული როლი აკისრია მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ადამიანური კაპიტალის გამოყოფა და საყოველთაოდ აღიარებულ კლასიფიკაციაში მისი აღწარმოების ფუნქციის ჩართვა. აღნიშნული ფუნქციის არსი მდგომარეობს ადამიანური კაპიტალის აღწარმოების პროცესში სამეწარმეო სტრუქტურების უწყვეტ მონაწილეობაში როგორც ორგანიზაციის, ასევე მთელი საზოგადოების დონეზე.

ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციებს, რომლებიც განსაზღვრავენ მდგრად განვითარებაზე გადასვლის შესაძლებლობას, ჩვენ მივაკუთვნეთ: ადამიანური კაპიტალის გადაქცევა რეალურ მწარმოებლურ ძალად, წარმოებრივი პროცესებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაცია, ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის თანაფარდობის ოპტიმიზაცია.

ადამიანური კაპიტალის გაფართოებული აღწარმოება, მისი ეფექტიანი გამოყენება-ინოვაციური ტიპის საზოგადოებრივი აღწარმოების კანონზომიერებაა. ამგვარი აღწარმოება მიიღწევა ადამიანის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნის, მის განათლებაში ინვესტიციების ჩადების, ჯანმრთელობის შენარჩუნების, კულტურული სრულყოფის და სხვ. მეშვეობით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პრიორიტეტი უნდა გამოიხატებოდეს არა უბრალოდ ადამიანური კაპიტალის შემქმნელი სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების გადიდებაში, არამედ სამეწარმეო სტრუქტურების, დაქირავებულებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთქმედების ახალი პერსპექტიული ფორმებისა და მექანიზმების დანერგვაში.

ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზნის მიღწევის შესახებ - გამოვლენილია სამეწარმეო საქმიანობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობის შინაარსი,

მიმართულებები და მექანიზმები. წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მეცნიერული შედეგია სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის კვლევის კონცეფციის შემუშავება. მოცემული კონცეფცია მოიცავს: მეწარმეობის თეორიისა და სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ფუნქციების ანალიზს; სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის თანაფარდობის შესახებ დებულების წამოყენებას; „სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის“ ცნების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაარსის განმარტებას; სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციის, როგორც ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობის ძირითადი მიმართულებების დასაბუთებას; დასახული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი მოქმედებების განსახორციელებლად კონკრეტული მექანიზმების დახასიათებას.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გთავაზობთ მთლიანობაში სამეწარმეო საქმიანობისა და კერძოდ კი **სოციალური პარტნიორობის ჰუმანიზაციის მექანიზმის სრულყოფის** შემდეგ რეკომენდაციებს:

1. საწარმოს დაქირავებულ მუშაკთა წახალისება აქციონერად, ფირმის მმართველი ორგანოს წევრად გასახდომად.
2. პარტისიპაციული (ინგლ. Participatory-ერთობლივი, გაერთიანებული) მართვის განვითარება.
3. მოტივაციური მექანიზმის ფართო გამოყენება მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარებაში, რაც გასული საუკუნის დასაწყისში თავის კვლევებში აღნიშნა ამერიკელმა ფსიქოლოგმა და სოციოლოგმა ჯორჯ ელტონ მეიომ.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, უნდა აღინიშნოს, რომ **სოციალური პარტნიორობის როლის ამაღლება** შრომითი ურთიერთობების სფეროში და **სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაცია** საზოგადოებრივ ცნობიერებაში მოითხოვს ხელისუფლების, ბიზნესისა და თავად მომუშავეთა მხრიდან სისტემურ მიდგომას მოვლენის არსის გაგების და არსებული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისადმი, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფას, სოციუმის განვითარების ზოგადი დონის ამაღლებას.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი სემინარი და ორი კოლოკვიუმი:

კოლოკვიუმები:

1. ბიზნესის ჰუმანიზაციის მმართველობითი მეტაეკონომიკური პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები
2. ბიზნეს ინტერესები და ბიზნესის მეტაეკონომიკური გააზრების განმსაზღვრელი საზოგადოებრივი გარემო

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია:

პუბლიკაციები:

1. „სოციალური პარტნიორობის როგორც სამეწარმეო საქმიანობის ჰუმანიზაციისა და ეფექტიანობის ამალღების მექანიზმის სრულყოფა“, ბესიკ გვაზავა. სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, თბილისი 10-12; 2019წ. გვ. 37-44
2. „სოციალური პარტნიორობის პრინციპების მსოფლიო გამოცდილება“, ანზორ აბრალავა, ბესიკ გვაზავა. სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, თბილისი 10-12; 2019წ. გვ.77-83
3. „ეკონომიკის ჰუმანიზაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი“, ანზორ აბრალავა, ბესიკ გვაზავა. სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი 2-3; 2019წ. გვ 15-20

კონფერენციები:

1. „მეწარმეობის განვითარების რეტროსპექტივა და თეორიულ-კონეპტუალური ანალიზი“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული I. გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. ანზორ აბრალავა, ბესიკ გვაზავა. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, 2017წ. გვ 13-17